№ 4
ხუთშაბათი, 8 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 4
ხუთშაბათი, 8 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 იანვარს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებულის დედის

**მელანია გაბრიელის ასულის წინამძღვრიშვილისას**

გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 10-ს საათზედ.

(1—6—1)

**ქართული თეატრი**

ხუთშაბათს 8 იანვარს,

**ბენეფისი ბ. სვიმონიძისა**

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ერნანი**

დრამა 5 მოქმედ. თხზ. ვ. ჰიუგოსი, თარგმ. ა. ნიკიტინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ეფ. მესხისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, გარელი, ბ.ბ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა— ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელს მახათაძეს; კოლეჟსკი ასესორობა—იგდირის სამაზრო ხაზინის ბუჰჰალტერს ჩინჩალაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მოხელეს ხოჩოლავას; კოლეჟსკი სეკრეტრობა: სიღნაღის სამაზრო ხაზინის ბუჰჰალტერს მაღალაშვილს და სახაზინო პალატის ბუჰჰალტერის თანაშემწეს თავადს ვეზირიშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: არდაგანის სამაზრო ხაზინის ბუჰჰალტერის თანაშემწეს კაკაბაძესა და ბათუმის სამაზრო ხაზინის თარჯიმანს კობახიძეს.

დამტკიცებულ იქმნენ კოლეჟსკი ასესორის ხარისხში ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილია ფერაძე; გუბერნსკი სეკრეტარის ხარისხში კანდიდატი სასამართლო თანამდებობათა ლორთქიფანიძე.

გადაყვანილ იქმნა ტფილისის პოლიციის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი ქლენტი— სენაკის მაზრის სამხედრო უფროსის გამგეობის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

—

*** დღეს, ქართულ თეატრში, ქართულ დრამატიულ დასის მიერ ს. სვიმონიძის საბენეფისოდ, წარმოდგენილი იქმნება ვ. ჰიუგოს ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ერნანი". ამ პიესას ტფილისში ქართულ ენაზედ პირველად თამაშობენ და იქედია საზოგადოება მოისურვებს იმის ნახვას.

*** ბათუმი. 14 იანვარს, ბათომის საკრებულო დარბაზში გამართული იქმნება ქართული საღამო, რომლის შემოსავალიც უნდა მოხმარდეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" აქაურ სკოლას. საჭირო ბარათები უკვე დასტამბეს და ქალაქის გარეშე მცხოვრებთ დაუგზავნეს. წელს საღამოს გამგედ ქ-ნი წ. ა. დუმბაძისა იქმნება. უკვე რამდენიმე წელიწადია რაც ქ. ბათომში ხსენებულ სასწავლებლის სასარგებლოდ საღამოები იმართება, საზოგადოება სიხარულით ეგებება და ფულს არ იშურებს ამ საღამოებისათვის. იმედია, წელსაც ბათომის ქართველი საზოგადოება არ დაიზარებს, დაესწრება საღამოს და ყოველ გვარს დახმარებას აღმოუჩენს.

*** 5 იანვარს, ტფილისის პოლიცმეისტერის გამგეობის მოხელეთ მიართვეს ტფილისის გუბერნატორად ნამყოფს თავ. გ. დ. შერვაშიძეს ალბომი ამ გამგეობაში ყველა მოსამსახურეთა ფოტოგრაფიულის სურათებით. ალბომის თავში ოქროს ფიცარზედ ზევიდგან ამოჭრილია თავ. გ. დ. შერვაშიძის საგვარეულო ოქროს გერბი, ხოლო ქვემოდ ტფილისის გუბ. ვერცხლის გერბი.

*** შაბათს, 10 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება იქნება. კრებაზედ საზოგადოების წევრი ა. ს. ფრენკელი მოხსენებას წაიკითხავს კავკასიის ავაზაკობასთან საბრძოლველ საშუალებათა შესახებ.

*** შაბათს, 3 იანვარს, საბჭოს დარბაზში მომხდარმა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო მოლაპარაკებამ დაადგინა გადასდოს ქალაქის თანხიდგან ყოველ წლივ 30 ათასი მანეთი პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ, თუ იგი დაარსებულ იქმნა ტფილისში.

*** თავ. ჯორჯაძის საქმე, რომელიც 5 იანვარს უნდა განხილული ყო კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში, გადაიდო, რადგანაც ბრალდებული, ავადმყოფობისა გამო, არ გამოცხადდა სასამართლოში.

*** ქ. ოზურგეთი. დიდს სიხარულს მიეცნენ აქაურები, როდესაც ხმა გაისმა, რომ ქ. ოზურგეთში სახალხო წიგნთ-საცავი და სამკითხველო არსდებაო. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. აგერ დაარსდა კიდეც წიგნთ-საცავ-სამკითხველო და აუარებელმა ხალხმაც დაიწყო სიარული. იმოდენა ხალხი აწყდება სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთების საკითხავად, რომ ბევრი უკან ბრუნდება ხოლმე უადგილობისა გამო. მოსიარულეთა შორის მომეტებული ნაწილი დაბალი ხალხია, რომლებიც სახალხო წიგნებს უფრო ეტანებიან, ვიდრე სხვას, მაგრამ, საუბედუროდ, ამ მხრივ წიგნთ-საცავი ძლიერა ჰკოჭლობს. წიგნთ-საცავს ორი განყოფილება აქვს, რუსული და ქართული. რუსულს წიგნებს კარგა ფართო ადგილი აქვს დათმობილი, ქართულსკი მეტად მცირე და ამასთანავე წიგნები ისეთ ნაირად არის ერთმანეთში არეულ-დარეული, რომ ერთი საათი უნდა ეძებო ს ხოლმე მორიგემ, ვიდრე იმ წიგნს იპოვიდეს, რომელსაც თხოულობენ. სწორედ საკვირველია ქართულ განყოფილების ასეთნაირი მდგომარეობა. არ შეიძლება არ შევნიშნოთ სამკითხველოს გამგეობას შემდეგი უწეს-რიგობაც. სამკითხველოს კარებზედ აწერია, რომ ოთახში თამბაქოს წევა და ხმა-მაღლა ლაპარაკი აკრძალულიაო, მაგრამ პირველად თითონვე არღვევენ ამ განკარგულებას და ლაპარაკით იკლებენ იქაურობას. აბა ამათმა მაყურებელმა მოსიარულე ხალხმა რაღა უნდა ჰქნას?!

*** სოფ. კანჩხა. 9 დეკემბერს ჩვენს სოფელში მობრძანდა მარტვილის ბოქაული ნ. ს. დგებუაძე, შეჰყარა სოფლის ხალხი და გამოუცხადა, რომ მთავრობას ჰსურს სასწავლებელი დაგიარსოთ, თუ სასწავ-

## ფელეტონი

—

### მოულოდნელი მეკვლე

(სურათი)

მშიიწურა წელიწადი, მიილია და მიიშრიტა. ერთს დღეზედ-ღა ჰკონწიალობს მისი ბედ-იღბალი. ჰშფოთავს, ჰგმინავს და თვალებიდგან თეთრს ნაფერთლებს აფრქვევს დედამიწას. ბამბიქულასავით თეთრად გადაპენტილს არე-მარეს ეხუტება, ჰკოცნის და ზედ ადნება. ჰბრაზობს სოფელ-ქვეყანაზედ, სჯავრობს, რომ ხალხი სიხარულით ეგებება ახალ-წელიწადს და იმას-კი წყევა-კრულვით იხსენიებს. ნეტა ვის რა დაუშავა? არც თქვენ დაგაყრით ხეირს, უმადურებოო. მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და შეჰკრა, შეჰბოჭა ქვეყანა ყინვის სუსხით, ტრთოლა დააწყებინა ყოველს სულდგმულს, არე-მარე ჩამოაბნელა თოვლის ბარდნით. არია ერთმანეთში ცა და ქვეყანა: გალმა თუ გამოღმა, ძირს თუ მაღლა, ყველგან ბაწარაღებით თოვლის ფერფლი დაჰფრინავს. სოფ. ობნის-ხევლები მაინც ვერ შეაშინა ბუნების ამ ბობოქრობამ, ყველამ შეაბა მარხილი და გასწია ტყისკენ საახალწლო კუნძისა და ფიჩხის მოსატანად.

დაღამდა. თითო-ოროლა შეშით გატენილი მარხილი შემოსრიალდა სოფელში. ძველ-წელიწადსაც ორად გაუსკდა გული, სული ყელში მოებჯინა და მიბინარდა, დამშვიდდა, იგრძნო სულის განშორება, ცა ძაძებით შეიმოსა, დედა-მიწა მთლად გაშეშდა. სრიალ-ჭრიალით შემოიტანა ბოლოს სესიკამაც თავისი მარხილი და „ჰო-ჰოო"-ს ძახილით გაა ერა მიწაში ჩამძვრალ სახლის კარაპნის წინ. დააბინავა საქონელი ბოსელში, გადმოიღო კუნძი და შეიტანა სახლში.

— ოჰ! რა ნაირი სუსხი ჰქონდა ამ ვერანს. ძლივს დაუდეთ მარხილები, გზას ძლივს ვიგნებდით, ისეთ ნაირად გვაყრიდა თავ-პირში თოვლს. ეხლა პატარა ყური მოსტყდა, აი. ერთი უყურე, ნენე, რა კუნძი მოვიტანე და! მუსაიფი დაუწყო თავისს მეუღლე ნენეს, რომელიც ბუხრის მახლობლად ტახტზედ იჯდა და ნიგოზსა სჭრიდა გოზინაყისთვის. მე და ჩემმა ღმერთმა, ნენე, სამს დღეს გასძლებს ე კუნძი, აი!?

— რა დაგემართა კაცო, რა გალრიალებს, შემოუტია ნენემ, პატარა დაბლა ვერ იტყვი, რაც სათქმელი გაქვს?

— ეჰ! შენ თუ მაშინვე ყრონჭში არა მწვდი, ხომ ვერ მოისვენებ! უსათუოდ ენა მუცელში უნდა ჩამიგდო, თუ პატარა მხიარული დამინახე, უსაყვედურა სესიკამ ნენეს.

— რა ვქნა, ჩემო კარგო, დაუმდაბლა ნენემ ხმას. ისე ვარ გაბოროტებული ამდენის დარდით, რომ არ ვიცი რა ვქნა და რა წყალში ჩავარდე. ძლივს საშობაოდ წამოვაყენე ე გოგო ფეხზედ, მიხაროდა, რომ ახალ წელიწადსაც ასე გავატარებთ-მეთქი, მაგრამ დახე ჩვენს ბედს. შენც წახვედი და ამანაც მაშინვე ლოგინი გამაშლევინა, შესწუწუნა ნენემ ქმარს.

სესიკა მიჰხვდა, რადაც იყო ნენე დადარდიანებული და მწარედ ჩაეთუთქა გული. წელ-მოწყვეტილი მიუჯდა ბუხარს და ქალმნების ხდა დაიწყო. თვალ წინ წარმოუდგა მთელის წლის ტანჯვა-წვალება, თუ ახალს წელიწადს მხიარულად არ გაატარებს, და ძლიერ დაღონდა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა სახლში, მხოლოდ ხანდახან ავადმყოფის კვნესა და ნიგვზით სავსე წაფაში ნენესი და პატარა ქალის ხელების ფათურის ხმა მოისმოდა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ნენე, დაარღვია სიჩუმე ისევ სესიკამ, ჩვენ ცოცხლები ვიყვეთ მაგათ იმედათ, თორემ რა უშავთ. მე რომ დედ-მამა დამეხოცა, თითის ტოლა ძლივს ვიქნებოდი, მაგრამ ჰხედავ, მომხედა ღმერთმა და დავვაჟკაცდი, დავცოლშვილიანდი და ჯერ-ჯერობით ჩემი საქმე სხვაზედ ნაკლებ არ მიმყავს. ხომ ყველაფერი შემოაბინავე სახლში, გარეთ ხომ არაფერი დაგრჩა?

— რაღა თქმა მინდა, აბა ვისთან რას დავტოვებდი, უპასუხა ნენემ და არცა სტყუოდა: მართლაც დაბინდებამდის ყველაფერი მოასწრო. ვისგანაც ესესხა პური, მისცა, ან ვისაც იმისი ემართა, გამოართვა, რაც რამ მეზობლის ავეჯი იყო იმათსა, პატრონებს გაუგზავნა და თავიანთი ავეჯიც ყველასაგან მოითხოვა. ბედის პურიც გამოაცხო. გოზინაყის გასაკეთებლად თაფლიც იშოვნა, პატარა ქოცოც მოჰხადა და ღორის თავიც მოჰხარშა აბრამიანისათვის. ერთის სიტყვით, თავიანთ კვალობაზედ ნენემა და სესიკამ ყველაფერი მოიხერხეს ახალწლისათვის. რა წელს, მუდამ ასე ეგებებოდნენ ხოლმე ახალწელიწადს და, ღვთის მადლით, დოვლათიც-კარგი ჰქონდათ, მაგრამ, მართალი უნდა სთქვას კაცმა, ამ ბოლო ოთხის წლის განმავლობაში ცოტა უკან-უკან წავიდა სესიკას ოჯახი. თითონ სესიკავე ჰხედავდა ამას და ამ ამბავს იმას აბრალებდა, რომ რაც ვანე „სალდათად" წაიყვანეს, ხეირიანი მეკვლე არა გვყოლია და იმიტომ მოგვდის ასეო. აკი იმიტომაც შეეკითხა ნენეს, რომ მოდი ჩილიკაანთ ბიჭს ვეტყვი, დილით ადრე მოდი და ჩვენი მეკვლე იყავ მეთქი, მაგრამ ნენემ შემოუტია,— სიმინდის თოხვნა ხომ არ არის მეკვლეობაო. სესიკა კარგა ხანს იჯდა ფიქრებში გართული ბუხართან, ბოლოს ძილიც მოერია და თავის ქინდვრა დაიწყო, ამ დროს წამოდგა ნენე და ტაფა შემოსდგა ცეცხლზედ. მოათუხთუხა გოზინაყი, დაასხა სუფთად მორეცხილს ლანგარზედ და თაროზედ შესდგა. შემდეგ ვახშამი მიართვა მამა-შვილს და აბრამიანის დამზადებას შეუდგა.

— დედა?! დაიძახა ლოგინში მწოლიარემ ნაზის ხმით, რას აკეთებ, რა ამბავში ხარ, ჰა?!

— რა ამბავში უნდა ვიყვე, შვილო, ხომ იცი ხვალ ახალ-წელიწადია და გოზინაყი გავაკეთე, ახლა აბრამიანს ვამზადებ. ცოტა, შე დედამკვდარო, შენ ვერა მყევხარ ჯანზედ, თორემ ჩვენ რა გვიშავს. ღვთის მადლით ყველაფრით სრული ვიქნებით ხვალ. აბა, შვილო, ეცადე,

ლებლის მოსათავსებელ სახლს ააშენებთ და დახმარებას აღმოუჩენთო. ხალხი სიხარულსა და აღტაცებაში მოვიდა ამ ამბით. მაშინვე განაჩენი შეადგინეს, ას სამოცმა კაცმა ხელი მოაწერა და წარუდგინა ბოქაულს. იმედია, მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ განაჩენს და მალე გვაღირსებს სასწავლებელს.

*** სოფ. სანახშირე, (შორაპნის მაზრა). 24 დეკემბერს აქაურის მცხოვრებელის უ. მაღ—ძეს სახლს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი პირველად აივანს შემოფენილს ჩალას გაუჩნდა და შემდეგ მთელს სახლს მოედო. დაუნდობელმა ცეცხლმა საბრალო გლეხის წლის სარჩო-საზადებელი თითქმის სულ ერთიანად ჰშთანთქა.

*** 4 იანვარს, ქალაქის მეშვიდე ნაწილში, ნაშუადღევის 4 საათზედ, თელავის ქუჩაზედ ჩხუბის დროს ტფილისის მოქალაქემ სედრაკ აბულოვმა დასჭრა დანით მარცხენა ხელში ტფილისისავე მოქალაქე ილიკო ზალიანიშვილი. დამნაშავე შეიპყრეს და 5 იანვარს სასამართლოს გადასცეს.

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს „ივერიის" ნომერში შეცდომით იყო დაბეჭდილი „ტფილისის მცხოვრებ გერმანელთ 12,000 მან. მიართვეს საჩუქრად ბ-ნს პრიმს იმის სამსახურის 25 წლის შესრულების გამო". უნდა იყოს: 1,200 მან.

## პატარა საუბარი

—

ქართველნო დედა-კაცნო, დღეს თქვენთან მინდოდა პატარა საუბარი გამემართნა, მაგრამ პირველ სიტყვაზედვე ძალიან შევფრთხი, შევლონდი. აქ დედა-კაცად გახსენეთ ჩვენი დედები, ჩვენი დები, ჩვენი მეუღლენი, ერთობ დიდი და პატარა დედათა სქესისანი და შევშინდი. ვაი თუ ეს სახელი ითაკილოთ, იუკადრისოთ, გვიწყინოთ. ვაი რა დრო მოვიდა, რომ კაცობით ხსენება დედათა სათაკილოდ გაგვიხდა!..

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, უთქვამს რუსთაველს. ლომი ლომია, ერთია ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო, ამბობს დღესაც გლეხ-კაცი. მართალია, სწორია, ერთია. ამასა ჰმოწმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ „დედა-კაცს" ეძახის, როგორც მამას—„მამა-კაცს". განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება-კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მზგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო. სხვა რაა უდიდესი და უპატიოსნესი კაცობის სახელზედა ადამიანისათვის რომელის სქესისაც გინდ იყოს! ჩვენო დედებო, ჩვენო დებო, ჩვენო მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნო, თუ გათხოვილნო, შეირჩინეთან შეგარჩინეთ-კი ყოვლად პატიოსანი, მაღალ მნიშვნელობიანი სახელი „დედა-კაცობისა"? ვაი რომ არა!..

ეხლა დედა-კაცად თქენი ხსენება საწყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დადნა, დადნა სახელიცა. დღეს დედა დადა-კაცი-კი არ არის, ქალია. მთა ბექად გადაიქცა, მუხა ლელწმად, ზღვა წყაროდ, ადამიანი პეპელად. ცოდვა არ არის, სად დედა-კაცობა და სად ქალობა!.. დღეს „დედა კაცი" მდაბიოთა სახელი-ღაა, თითქო „კაცი-დედა" მარტო მათ-ღა შერჩენიათ. დღეს „დედა-კაცი" რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ „შლიაპოსანს" უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: მე ქალი ვარ და არა „დედა-კაციო", თითქო ქართული „დედა-კაცი" და რუსული „баба" ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, „დედა-კაცი" სათაკილო იყოს და „ქალი" თავ-მოსაწონებელი!.. „დედა კაცი"—ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად" დავადნეთ!.. ცოდვა არ არის, „დედა-კაცი" დავკარგეთ და „ქალი", შევიძინეთ!.. ეს რას ჰნიშნავს, წინ სვლას, თუ უკან დაწევას? აბა დაუკვირდით, დაუფიქრდით...

ქალი და ვაჟი ყმაწვილებს გვიქვიან და არა მოზდილებს, არა დამთავრებულს სულითა და ხორცით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისეც ქალი, ან ვაჟი ჯერ კაცი არ არის. ქალი თუ ვაჟი ჯერ ისევ მოზარდია, კაცი უკვე გაზდილი. ჩვენ აქ მარტო ხორციელ ასაკოვანობაზე არ ვლაპარაკობთ. ჩვენ სახეში გვაქვს ასაკოვანებაც სულისა, იმიტომ-რომ მარტო ასაკოვანება სულისა ადამიანს კაცადა ჰხდის. სხვა ყოველი მარტო ქალ-ვაჟიანობაა და სხვა არაფერი, თუნდ ერთიცა და მეორეც ას-ასის წლისანი იყვნენ და შვილებ გარშემორტყმულნი. ქალი გასათხოვარია, თუ გათხოვილი, შვილებიანია, თუ უშვილო,—მარტო სულიერ ასაკოვანებით მიაღწევს „დედა-კაცობამდე" და მინამ არ მიუღწევია, იგი ქალია და არა „დედა-კაცი".

ქართველებისათვის „დედა" მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას" ეძახის, უფროსს ქალაქს—„დედა-ქალაქს", მკვიდრს და დიდს ბოძს სახლისას—„დედა-ბოძს", უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს—„დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს-„დედა-აზრს". გუთნის გამგებელ მამა-კაცსაც-კი—„გუთნის-დედას". რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავ-მოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი" განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა" და მასთან ერთად „კაცი"!

ამიტომაც „დედა-კაცის" „ქალამდე" ჩამოსვლა და „მამაკაცის" „ვაჟამდე" ცხენოსანის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცვლაა, აზრისა და სამცნების ჩამოღნობაა, დაფუყვაა. მამა-კაცი კიდევ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ „ვაჟამდე" ჩამოხდეს. ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა, „ვაჟი-კაციაო". ქალს-კი ჩამოეცალა სახელი კაცისა. „ქალი-კაცი" არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნება იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა ჰზიდავს „კაცის" მძიმე სახელს. თუნდ ეგე ც არ იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქალიღაა და თითქო არა კაცი. სად ქალობა და სად დედა-კაცობა!.. ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული. იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისათვის ეს წუთის-სოფელი სასეირნო წალკოტია, დედა-კაცისათვის—სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა სალეწი, საჩბიელია საომარი ქკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარხმალო დედა-კაცია, დედა-კაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან!..

ვაი რომ „დედა-კაცნი" წავიდნენ, აღარა გვყვანან და მარტო „ქალები" ლა დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათაშორის სათავე ჩვენის უბედურებისა.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ტირძნისი,** (გორის მაზრა), 25 დეკემბერი. ერთი სასიამო საქმე კიდევ კეთდება ჩვენს სოფელში: ...ნის ჟურნალ-გაზეთობისაგან და ...გადობისაგანაც დავიწყებული დრო... ვალდებული გლეხობა თავს ანებებ... ტორიისაგან დიდის ხნის უარ ყოფ... „ვალდებულებას" და ბატონისა მთავრობის წყალობა-დახმარებით ერთიან თავისუფლდება!..

ბატონმა და გლეხებმა სთხოვეს ... კრობას ჩაბარდეს მემამულეს ხაზი... გან დღიურზედ 30 მან., რომელ... განთავისუფლებული გლეხები ნაწ... ნაწილად გადაიხდიან (წელიწადში ... მან.), ხოლო თვითონ თავის მხ... ნაბატონარს უნდა მიართვან ათს დ... ურზედ 70 მან., ვისაც ნაკლები უ... რავს, ის-კი იხდის მამულის კვალ... სამწუხარო და დასაწუნი აქ ერთი... და არის, რომ გლეხები რაღაცა მო... ზრების გამო უწინდელს ვითარებ... დაუტოვებიათ, მაგრამ იმედი გვაქ... რომ, თუ პირველი თხოვნა შეიწყნა... მთავრობამ, გლეხების შესახებაც ადგ... ლად მოიგვარებიან და ბატონ ყმანი გ... ნთავისუფლდებიან სამარცხვინო ნაი... ხლების მოკრებისაგან...

დიდად სასურველია, რომ გორი... მაზრის მემამულეებმა მიჰბაძონ თო... მეტ წელიწადს უთვილს თავიანთ წინა... მძღოლს და გაანთავისუფლონ ავარებ... ლი დროებით ვალდებული გლეხობა... რომელნიც ამ სამარცხვინო მდგომარე... ობაში ლამის მეოცე საუკუნის დასას... რულამდისაც-კი დარჩნენ ჩვენის ერი... გასათახსირებლად...

ქართლის გაბეჩავებულს, მიწასთან გასწორებულს და ადამიანობა დაკარგულს გლეხკაცობას ეჭირვება სწორედ ეს თავისუფლება, რომლიც პოეტის სიტყვით „კაცთა ნათლ სიუდარია, ჩაგრულისა და წვალებულის წმინდა საფარი, მშვიდობა და სიმართლე ამ ქვეყნისა და, ბოლოს, ღვთაებამდე აღმზრდელ კაცთ ბუნებისა"... ჯერ ეს თავისუფლება უნდა მიანიჭოს ხალხის ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა და მხოლოდ შემდეგ იზრუნოს სხვა „წყალობისათვის", მაგალითი თვალ წინა აქვთ, მხოლოდ მიბაძვა ღა არის საჭირო.

ი. გ—რი

---

ხვალ ფეხზედ ადგე, ამაღამ უსათუოდ ოფლი მოიდინე, თორემ ძნელია საახალწლოდ ავადმყოფის ყოლა.

— იიჰ, ნეტავი-შენა დედა, კვნესითა და სვენებ-სვენებით დაიწყო ლაპარაკი მათამ, მოდი აქ ჩემთან, დედაჩემო. უჰ, რა საშინელი სიზმარი ვნახე. არ შეიძლება ცხადლივაც ისე მოხდეს, როგორც სიზმარში ხდება?! ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი.

— ზოგჯერ სიზმარი მაშინვე ახდება ხოლმე მეორე, მესამე დღეს და ისე, როგორც სიზმარში ჰნახა ადამიანმა, ზოგჯერ-კი სულ უკუღმა.

— იცი დედა, ვითომ ხრამულაზედ რომ ხიდი ძევს, იმაზედ მივდიოდი მეორე ნაპირას გადასასვლელად. მივედი თუ არა წყლის შუა ალაგას, მამისხლტა ფეხი და წყალში ჩავარდი. ამ დროს საიდგანღაც გაჩნდა ვანე, ამ ორის წლის წინად რომ ლამაზად მორთულ-მოკაზმული ვნახეთ, სწორედ ისე ეცვა ოი, გამოეკანა ჩემ საშველად, ისკუპა და წყალში გადმოეშვა. მეწყინა, რომ ვანე ჩემი გულისთვის თავს ირჩობდა, დავიწყე წივილ-კივილი ამ წივილში გამომეღვიძა, გავახილე და ლოგინში-კი ვიწექი. დედა, რა კაი ვაჟკაცი დადგა ვანე, მთელი სოფლის თვალი იქნება, როცა მოვა. ამბობენ, რომ ამ სანათლიდებოდ ჯვარს იწერსო.

ამ სიტყვებს მათამ გულიც თან ამოაყოლა და თვალებზედ ცრემლები გადმოსცვივდა. დაიწყო ბორგვა ლოგინში, ხელების თითებს მწარედ იმტვრევდა და მალი-მალ თვალებს ზეცას აპყრობდა. უხაროდა, რომ სიცხე მისცა დღეს დილით და ლოგინში ჩააწვინა, დამეკვებება ავადმყოფობა და მეც ეს მინდაო. „მაშ რა სიცოცხლე იქნება ჩემი სიცოცხლე უიმისოდ" ჩაილაპარაკა თავისთვის მათამ. ნენე გვერდში ამოსჯდომოდა ავადმყოფს და თვალ-წარბში შესცქეროდა. წყნარად წარმოთქმულს სიტყვებს ყური მოჰკრა და გაიმეორა თავისს გუნებაში. იფიქრა, მაგრამ ვერ მიხვდა.

— რას ამბობ, შვილო, ვისთან იქნები ბედნიერი? ან ეხლა რა გიშავს? შეეკითხა ნენე შვილს. მათა ფიქრებში იყო წასული და ხმა არ გასცა. სესიკამ-კი ხვრინვა ამოუშვა და შუა ძილში იყო. საახალწლო კუნძსაც ლამაზად მოედო ცეცხლი და გუზგუზებდა.

— დედაა?! დაუძახა მათამ, მაგრამ ისევ გაჩუმდა, რიღაცის თქმა უნდ ოდა, მაგრამ ეძნელ ებოდა. არა, ვეტყვი ყველაფერს დედაჩემს, გაიგებს მაინც რისთვის დაემართათ უბედურება. ეტყვის იმასაც და შემიცოდებს, მასიამოვნებს, რადგან „სულით ჩემ ვანეს აბა სად მოვშორდებიო". ჰო, დედა, აუმაღლა ხმა მათამ, აი რას გეხვეწები, ვანეს უთხარი: გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს, რომ სხვაზედ დაიწერე ჯვარი-თქო.

ნენე ყურს უგდებდა, მაგრამ არაფერი ესმოდა. უკვირდა, რადა სწყინს ვანეს გაბედნიერებაო, და არ იცოდა, რა ცეცხლი ტრიალებდა მათას გულში. ვეღარ მოითმინა მათამ, მოჰხვია მკლავები დედას და უთხრა:

— მიყვარს, დედა, ვანე, მიყვარს, მაგრამ რაკი ის სხვაზედ იწერს ჯვარს, მეც ჩემს ავადმყოფობაზედ დავიწერ ჯვარს, თუ ვანე აქ გაბედნიერდება, მე იქ გავბედნიერდებიო, და მწარე ქვითინი ამოუშვა.

ვანე, რომელიც ასე ძვირფასი სანახავი იყო მათასათვის, მეზობლის შვილი იყო და ძლიერ დაახლოვებული სესიკას სახლობასთან. მიზეზი ამ დაახლოვებისა, მეზობლობის გარდა, ის იყო, რომ ნენე და ვანეს დედა ერთის სოფლიდგან მოყვანილი რძლები იყვნენ და მეტად უყვარდათ ერთმანეთი. ჭირსა თუ ლხინს უერთმანეთოდ არ გარდიხდიდნენ, დღეობასა თუ ჯვარობას უერთმანეთოდ არ წავიდოდნენ, ერთის სიტყვით, დიდი მისვლა-მოსვლა და მეგობრობა ჰქონდათ. უნდა დანათლიავებულიყვნენ კიდეც, რომ მოულოდნელად ჯან-საღი ვანეს დედა მუცელს გადაჰყვა და დასტოვა ოთხის წლის ვანე მამის ანაბარად. ვანეს პატრონი და მფარველი ნენე იყო, რადგან მეტად ანჩხლი და კაპასი დედინაცვალი მოუვიდა, და სულ თავისთან ჰყვანდა. უფრო და უფრო შეუყვარდა ვანე, რაკი თითონ ვაჟი არ მიეცა, ორი ქალის გარდა. ვანესა და მათას ჩააბარებდა ხოლმე სახლს ნენე, როდესაც თითონ წყალზედ წავიდოდა და ან მინდვრისკენ გასწევდა და ჯერს წაუღებდა ქმარს. იზრდებოდნენ წყვილად, ტკბილად, თუმცა ვანე ზოგჯერ მისტყეპავდა ხოლმე მათას, რადგან ოთხის წლით იმაზედ დიდი იყო და სახლისკენ მოჰკურცხლავდა ხოლმე, რომ ნენემ არა მცემოსო. რაკი ვანე წამოჩიტდა და მეხრეობა შეიძლო, სახრე მისცეს ხელში და საქონელს გამოუყენეს. თავიანთ საქონელთან ერთად სესიკას ბოჩოლებიც დაუდიოდა. ხვნათესვის დროს ერთად ებათ ხოლმე გუთანი. ყოველ საღამოს ვანე შედიოდა ნენესა და მათასთან და ეჯიჯინებოდა ათასს რამეზედ. ნენეს უხაროდა, რომ ასეთი შვილი გამოუვიდა თავისს ტოლ-ამხანაგს და ბევრჯელ ეტყოდა ხოლმე ვანეს, ნეტა ეხლა დედაშენს დაენახვა შენი თავი, რა ნაირად ისიამოვნებსო. აგერ ვანე ოცის წლისა გახდა, საქორწილო, და ეხლა იშვიათად შედიოდა ხოლმე სესიკაანთას.

...ისის ვარდსავით გაიფურჩქნ-გაიშალა, გრძელი კაბა ჩაიცვა, თმა დაიყენა და მორცხვობა დაიწყო. ვანეს თავისუფლად აღარ ელაპარაკებოდა, თუმცა ხან და ხან პატარაობა მოაგონდებოდათ და ბღლაძუნს დაიწყებდნენ ხოლმე. ერთხელ ასეთ ბღლაძუნობის დროს ვანემ უნებურად ხელები მოჰხვია მათას გულმკერდზედ და გაშეშდა, გულმა ძაგაძუგი დაუწყო, მათა დადნა, გადაეხვივნენ ერთმანეთს და გადააჭდეს ყელი ყელს. მათამ მალე მოიშორა თავიდგან ვანე და ბრძანების კილოთი უთხრა: წადი აქედგან, აღარ მოხვიდეო, და ვანემაც გამოაღო კარები და წამოვიდა. სწუხდა ვანე და დარდობდა მათაც. ოთხის დღის შემდეგ მათა მივიდა იმათსა ვითომ პურის სასესხებლად და თან უსაყვედურა ვანეს, რომ რატომ აღარ მოდიხარ ჩვენსაო. ვანე ცას დაეწია სიხარულით. გადასწყვიტეს ვანემ და მათამ შემოდგომაზედ ჯვარი დაეწერათ, მაგრამ კენჭი შეხვდა და ჯარის კაცად წაიყვანეს. ბევრი ივიშვიშეს, ბევრი იტირეს და გამოეთხოვნენ ერთმანეთს. ახალმა ადგილმა და ახალმა ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Кавказъ“-ში იბეჭდება საყურადღებო წერილები, სათაურით „Экономическіе наброски“. ერთს წერილში მეტად საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი „ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ შესახებ. ეს საზოგადოება-კი არ არისო, ამბობს ზ-ნ ველიჩკოს გაზეთის თანამშრომელი Saldo, არამედ ნამდვილი ბანკიაო. საზოგადოების წევრებად ითვლებიანო დაწესებულებანი: ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოება, ფრანგთა საქველმოქმედო საზოგადოება, იორისა და ტფილისის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი, კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება, ქალაქის გამგეობა და სხვ. საზოგადოების წესდების პირველსავე მუხლში ნათქვამია, რომ ამ საზოგადოების წევრებად უნდა იყვნენ მხოლოდ თითოეულნი კაცნი განურჩევლად წოდებისა და სქესისა. სწორედ საკვირველია, როგორ არ მიაქცია ამ უკანონობას ყურადღება ჯერ საზოგადოების გამგეობამ, საბჭომ და თავმჯდომარემ გ. ევანგულოვმა და მერე თვით მთავრობამ. ამ საზოგადოების საბჭოს დეპუტატები ფულის გასესხებით ხელს უმართავენ ვაჭრებს და ისინიც, რაღა თქმა უნდა, მადლობას უხდიან: საბჭოს დეპუტატებს ქალაქის მოურავებად ირჩევენ (მატინოვი, იზმაილოვი, ევანგულოვი) და აგრეთვე ამავე საზოგადოების დირექტორებს ირჩევენ საბჭოს ხმოსნებად. როგორც ჰხედავთ, ხელი ხელსა ჰბანს. ეხლა ვიკითხოთ, რისთვის არის დაარსებული ეს „საურთიერთო კრედიტის საზოგადოება“, თუ არ იმისთვის, რომ ხელი მოუმართოს ხოლმე იმ ვაჭრებს, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლებს ათ შაურად ღირებულ ნივთში მანათს ართმევენ. საჭიროა აგრეთვე გამოვიძიოთო, ამბობს ავტორი, ვისი წყალობა იყო, რომ ამ საზოგადოების წევრად ჩაწერილ იქმნა ქალაქის გამგეობა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ ერთი წილი იმ 100,000 მანათისა, რომელიც ქალაქის მმართველობამ ამ 18 წლის წინად უმაღლესის სასწავლებლისათვის გადასდო, ამ საზოგადოებას ჰქონდა მიბარებული საწარმოებლად და ფულის მოსაგებად. მაშ რა ექმნათ? ქალაქის გამგეობა რომ წევრად არ ჩაეწერათ, ხომ ვერც ამ ფულს გადასცემდა გამგეობა ამ საზოგადოებას. უეჭველია, რომ გამოაშკარავებულიყო, ვისი ბრალიც არის ეს უკანონობა, დიდს მადლობას გადუხდიდნენ, თუ არ გადუხადეს კიდეც. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მთავრობას სულ სხვაფრივ დაეფასებინა ამ საზოგადოების ბატონ-პატრონების ღვაწლი და მოესურვებინა წესდების შესრულების დავალება. მოხდება ეს როდისმე, თუ არა, ჩვენ არ ვიცითო, ამბობს დასასრულ ავტორი, მხოლოდ ეს კი ცხადია, რომ საჭიროა ტფილისში 2—3 ახალი საზოგადოება დაარსდეს, რომელთაც ნაკლებადა ჰყავდეს წევრნი, ხოლო საზოგადოების მმართველებს-კი უფრო ნაკლები ჰქონდეთ ჯამაგირი. ასეთი საზოგადოება რომ სახეირო იქნება, ამას ჰმოწმობს თვით „საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ ანგარიშიო.

## რუსეთი

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა დაუწყიათ ზოგიერთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, რომ ნება მოგვეციო შინა-მრეწველობის სამუდამო კომიტეტები დავიარსოთო. კომიტეტმა თვალყური უნდა ადევნოს შინა-მრეწველობის საქმეს და ხელი შეუწყოს მის განკარგება-გაუკეთესობასაო.

— მოსკოვის ტეხნიკოსთა საზოგადოების განყოფილებას განზრახვა აქვს საცდელად „სახალხო სახლი“ დააარსოს და მუშათათვის გასართობები ჰმართოს ხოლმე.

— პეტერბურგის მაღალ საზოგადოების წარმომადგენელთ განზრახვა აქვთ იმ ტანთ-საცმელის გამოფენა გაჰმართონ, რომელიც რუსეთში მე-XIX საუკ. განმავლობაში იხმარებოდა. გამოფენილ იქმნება მხოლოდ მაღალ წოდების ქალთა და კაცთა ტანთსაცმელი და ამ გამოფენით აღებული ფული საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება.

— ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს უკვე შეუმუშავებია ახალი საფოსტო წესდება იმ დროებითის წესების მაგიერ, რომელთაც შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოსცემდა ხოლმე ყოველ 5 წლის შემდეგ. სამინისტროს უკანასკნელის განკარგულებით გამოცემულს წესებს 1897 წ. 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა და დღეის იქით ყოველ საფოსტო დაწესებულებაში შემოღებულ იქმნება სახელმძღვანელოდ ახალი წესდება.

— განზრახვა აქვთ კონკურსი გამოაცხადონ სათამაშო ქაღალდის ახალის სახის შემუშავებისათვის.

## უცხოეთი

**მაკედონია.** მაკედონიის კომიტეტმა ამას წინად გაუგზავნა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ფრანგულს და ბოლგარულს ენებზედ დაწერილი პროექტი იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთა შემოღებაც, კომიტეტის აზრით, საჭიროა მაკედონიაში იქაურ მცხოვრებელთა დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად. გაზ. „Frankfurter Zeitung“-ის სიტყვით, ამ პროექტში მოხსენებულია მაკედონიის კომიტეტის მოთხოვნილებანი, რომელნიც 1896 წელს, სოფიაში მომხდარ მაკედონელთა კონგრესზედ, შეწყნარებულ და მიღებულ იქმნა. პროექტის ძალით, ოსმალეთის სამის ვილაეტისაგან—მონასტრისა, უსკიუბისა და სალონიკისაგან, ერთი თავისუფალი, დამოუკიდებელი პროვინცია უნდა შესდგეს. ეს პროვინცია თუმცა ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს, მაგრამ თვით-მმართველობა ექმნება მინიჭებული და ეყოლება ცალკე გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც დანიშნავს სულთანი ხუთის წლის ვადით. შემდეგ პროექტის ძალით, ახლად შემდგარ პროვინციას შეეძლება მოიწვიოს ხოლმე საერო კრება. თვით შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, ეყოლება საკუთარი მილიცია, ოსმალური და ადგილობრივი ენები გათანასწორებულ იქმნება. გარდა ამისა, სწავლა-განათლების საქმეც თვით პროვინციის წარმომადგენელთა ხელში იქმნება.

**ავსტრია.** გაზეთების სიტყვით, ვენაში უკვე შეუდგნენ მზადებას ავსტრო-უნგრეთის იმპერატორის ფრანც-იოსების ორმოც-და-ათის წლის იუბილეის დღესასწაულის გადასახდელად. ეს იუბილეი ამა 1898 წლის ნოემბრის თვეში მოხდება. იუბილეის, სხვათა შორის, დაესწრობიან გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, საქსონიის მეფე, იტალიის ტახტის მემკვიდრე და სხვა წარჩინებულნი კაცნი.

**ჩერნოგორია და სერბია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, სერბიასა და ჩერნოგორიას შორის დამოკიდებულება ამ ბოლოს დროს გამწვავდა. ამის მიზეზი ის არისო, რომ ჩერნოგორიაში სცხოვრობს და იმალება ცნობილი რადიკალი და სახალხო ორატორი რანკო ტაისიჩი, რომელსაც სერბიის მთავრობა დაეძებს. ახლად დანიშნული სერბიის ჯარის მთავარ-სარდალი მილან ობრენოვიჩი ტაისიჩს ავაზაკობაში ბრალსა სდებს და ამიტომ უნდა სასამართლოში მისცეს იგი, მაგრამ ჩერნოგორიაში კარგად იციან, რომ ტაისიჩს მხოლოდ იმიტომა სდევნიან, რომ იგი მილანის წინააღმდეგია და მთავრობა უკეთ ღონესა ჰღონობს, რომ ტაისიჩი სერბიას ხელში არ ჩაუვარდეს.

## ნაკვესი

სასტუმროში სადილის საჭმელად შევიდა ერთი კაცი, მიიხედ-მოიხედა, არავინ იყო, სადილი მოითხოვა და მოსამსახურეს შეეკითხა:

— დღეს მარტო მე რადა ვარ აქაო?

— ისეთი ამინდია, ბატონო, რომ არც ერთი მართებული და რიგიანი კაცი სახლიდგან გარეთ არ გამოვაო, უპასუხა მოსამსახურემ.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო სასტატისტიკო ცნობები, რომლებიდგანაც აშკარადა სჩანს, რომელ სახელმწიფოში უფრო დიდ ხანსა სცოცხლობს ადამიანი. საფრანგეთში 40 მილიონ მცხოვრებთა შორის 100 წლამდე სცოცხლობს 213 კაცი. გერმანიაში 55 მილიონ მცხოვრებთა შორის მხოლოდ 78. ესპანიაში 18 მილიონ მცხოვრებთა შორის 401. ინგლისში 146; ირლანდიაში—578, შოტლანდიაში—46; დანიაში—2; ბელგიაში—6, შვეციაში—18; ნორვეგიაში—23; შვეიცარიაში თურმე 100 წლამდე არც ერთს კაცს არ უცოცხლია. ძლიერ ბევრია თურმე 100 წლის მოხუცებული ბალკანეთში მდებარე სახელმწიფოებში. რუმინიაში 1,084 კაცია ასის წლისა; ბოლგარიაში—2883; სერბიაში—578, ამ უკანასკნელ სახელმწიფოში 1890 წელს 18 კაცი ყოფილა 126—135 წლისა და სამი კიდევ 135—140 წლისა. რუსეთში ერთს კაცს 160—წლამდე უცოცხლია; ბუენოს—აირესში (ამერიკაში) ერთი აფრიკელი კაცი 150 წლისა მომკვდარა. მოსკოვში ერთი მეეტლე ყოფილა 140 წლისა და ციმბირში ეხლაც ცოცხალია ერთი 130 წლის ქალი.

* * *

„ტომსკის ლისტოკში“ შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. დიდი ხანი არ არის, რაც ტაიგას სადგურის უფროსი ტყეში წავიდა სანადიროდ და მთელ სამდღეს შინ არ დაბრუნებულა. თურმე გზა დაებნა უდაბურ ტყეში და მხოლოდ თავისის ძაღლის წყალობით გადარჩა სიკვდილს. მთელ სამ დღეს უვლია ტყეში ამ კაცს და მაინც შინისაკენ გზა ვერ გამოუგნია. მეტი გზა აღარ იყო; დაღლილ-დაქანცული ბედს დაემორჩილა და სიკვდილს ელოდდა. უეცრად ბედნიერმა

---

რებამ კინაღამ წუთი-სოფელს არ გამოასალმა ვანე, მაგრამ ბოლოს მიეჩვია და თავისის ახალის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

ერთი წელიწადი-ღა უკლდა სამსახურის გათავებას და მათა მოულოდნელად მოელოდა ამ ერთის წლის დასრულებას, მაგრამ ვიღამაც ამბავი მოუტანა, რომ ვანეს ვიღაც ქალი შეუყვარდა და იმაზედ დაიწერს ჯვარს, გაათავებს თუ არა სამსახურის ვადასაო. იკითხა ჩუმად სხვაგანაც, ჰკითხა ვანეს ამხანაგებსაც და ყველამ დაარწმუნა, რომ სწორედ ეგრე აპირობსო, და გაუსკდა გული მათას. უცებ ჩამოჰყარა ფრთები, ყოველგვარი სიხალისე დაჰკარგა. ზერე ქვერედ ავადმყოფობაც დაიწყო. თავს არ უფრთხილდებოდა, ცივდებოდა და უფრო მეტს დროს ლოგინში ატარებდა. ვანემ გაათავა სამსახურის ვადა, მაგრამ ფულის საშოვნელად დარჩა, რადგა ხელცარიელი ხომ ვერ მივიდოდა სოფელში. მაგრამ აგერ დღესასწაულები დადგა, ვანემ ვეღარ მოითმინა და ობნის-ხევისკენ მოჰკურცხლა. ჯერ ბიძებში ამოიარა, რომელთაც დიდის ხვეწნითა და მუდარით სამი-ოთხი დღე დაიჭირეს თავიანთას. ახალ-წლის წინა დღეს-კი ობნისხევისკენ გამოსწია. მიდის ვანე ობნის-ხევის შარაგზაზედ, გამალებული მიაბოტებს, ხვითქი სდის შუბლიდგან, თითქოს ზაფხულიაო. აგერ ყერუას კაკალსაც დაუახლოვდა და სოფელსაც გადაჰხედა. სახეზედ სიხარულის შუქმა გადურბინა. დაბინავდა ვანე სახლში, მაგრამ მთელი ღამე არა სძინებია. მოუთმენლად მოელოდა გათენებას.

იყივლა მესამედ მამალმა და მიყუჩდა. პატარა ხნის შემდეგ გაიღო აღმოსავლეთის კარები და არე-მარე განათდა. სოფელი ახმაურდა. სახლებს გარშემო დაუწყეს ტრიალი. სესიკამაც მოიფშვნიტა თვალები, სამჯერ შემოუარა სახლს აბრამიანით, აიღო მუხის ტოტი, შევიდა სახლში, დააბერა აბრამიანით ცოლშვილი და ტოტი კუნძს შეუჩიჩხინა, ავარდა ნაპერწკლები და სესიკაც მოჰყვა: ამდენი ხარი, ამდენი კამბეჩი, ძროხა და სხვა. ნენესა და მათასაც არა სძინებიათ მთელი ღამე, ტირილსა და მწუხარებაში გაატარეს. სესიკა მიუჯდა ცეცხლს და მეკვლეს ელოდა. აი გაიღო კარებიც და ჩერქეზულ ჩოხა-ახალუხსა და წაღებში გამოწყობილი ვანე შემოვიდა.

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო! დაიძახა ვანემ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ისეთნაირად იმოქმედა სესიკას სახლობაზედ, რომ უცებ ხმა ვერვინ ამოიღო. სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ გაფაციცებით ცქერა დაუწყო ახლად შემოსულს, მათამ ორი თვალი ოთხად იქცია. შეკრთა ვანე და შესწუხდა. „ვაიმე, რა ღმერთი გამიწყრა და რა ეშმაკმა შემომახეტაო“. გადაჰხედა მათას, რომელსაც ფერი მიჰკრთოდა, და მორცხვივით შავ თვალებს ატრიალებდა. ისართა ტყორცნას ვეღარ გაუძლო ვანემ და თავი ჩაჰღუნა.

— აი, შენ კი გენაცვალე ბიჭო, რომ კიდევ მოიგონე შენი ძველი გუთნის დედა, დაიძახა ბოლოს სესიკამ, გადაეხვია და ტკბილად ჩაჰკოცნა. ვანეც დამშვიდდა, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოაღაგა ფოჩიანი კამფეტები, ჲ მისთავაზა ყველას, „ასე ტკბილად დამიბერდითო“. მათას რამდენიმე საუკეთესო სურათებიანი პრტყელი კამფეტი მიულოცა და ჩამოჯდა ცეცხლა-პირას. ნენე მაშინვე დატრიალდა. ჯერ მეკვლეს ახლო-მახლო საკენკი მიაბნ-მოაბნია და შემდეგ, რაც-კი რამ ებადა და რაც-კი ამდღისთვის დაემზადებინა, ყველაფერი მიართვა.

ბიჭო, მიუახლოვდა ნენე ჲ ლაპარაკი დაუწყო მეკვლევანეს. მთელი ღამე შენს ფიქრსა და ვითარებაში ვიყავით. რაღაც სიზმარი ენახა მათას შენზედ და იმის ახსნა გაგებაში დაგვათენდა ახალწელიწადი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, დაიწყო სესიკამ, გუშინ მთელს დღეს მეც იმას ვფიქრობდი, ნეტა ვანე საიდგანმე გაჩნდეს-მეთქი. შენ წაგიყვანეს ჯარში და ჩვენი საქმეც უკან უკან წავიდა.

ვანე ხმას არ იღებდა. თავი ჩაეღუნა მორცხვ პატარძალივით და სახე ასწითლებოდა. ეტყობოდა, რომ რაღაც ამბავი იყო იმისს თავს, თორემ მხიარული ვანე აბა რას მოიწყენდა. სესიკამაც შეამჩნია ეს და შეეკითხა:

— რატო ეგრე მოწყენილი ხარ, ვანე, რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?

— არა, მაგრამ... ვეღარ დააბოლოვა. შეფიქრიანდა, ვაი თუ ასე სულ ერთიანად გავიფუჭო საქმე და მაშინ ხომ თავი მოსაკლავი გამიხდებაო. სახე მოიღუშა, კბილი კბილს მოუჭირა, სახეზედ სიმწრის ოფლმა დაასხა.

— ჰო, აი რა უნდა მეთქვა, მე გუშინ იმიტომ მოვიკალ თავი სიარულით, რომ დღეს თქვენი მეკვლე ვყოფილიყავი და ახალ-წლის პირველ დღიდგანვე მართლა ახალ ცხოვრებას შევდგომოდი. მათა მიყვარს, მინდა შევირთო და თუ უარს მეტყვით, ეხლავე ავდგები, წავალ და-თავისს დღეში ობნის-ხევის მიდამოებს თვალით აღარ დავიცდი. მეტი აღარ შემიძლიან, მეყო ოთხის წლის ვაი-ვაგლახი და ახლა თქვენს ხელშია ჩემი ბედი და იღბალი.

სესიკამ ხმა გაკმინდა, არ იცოდა რა ეთქვა, მათამ კუკურ-კუკური ცრემლები გადმოაფრქვია, ნენემ გულში ჩაიკრა ვანე და უთხრა:

— შენთვის იკლავდა თურმე თავს ჩემი ქალი, წუხელი მიამბო ყველაფერი, მადლობა უფალს, რომ ახალმა წელმა ორი შვილი ერთად დამიბრუნა. ღმერთმა გაგაბედნიეროთ! დღესვე ნიშნობა გავაჩაღოთ. სიხარულისაგან ტირილი დაიწყო ნენემ. მათასაც გული ამოუჯდა და სლოკინი დაიწყო.

— რაღა გატირებთ, ჰა, გაჩუმდით, ახალი წელიწადია, ტირილი არ დაგვეკვებოს, დაამშვიდა ყველანი სესიკამ და ერთხელ კიდევ გადაჰკოცნა ვანე, ღმერთმა გაგაბედნიეროთ და დიდხანს გაცოცხლოთ ჩვენს იმედათაო.

წყალ-კურთხევის კვირის შემდეგ ვანე და მათა ეკკლესიაში იდგნენ და ჯვარს იწერდნენ...

ან—ნა...

ფიქრმა გაუელვა. მოაგონდა, რომ ყოველ-დღე დილით ძაღლს ფულს აძლევდა ხოლმე ¢ ძაღლი ისე იყო გაწურთნილი, რომ ფულს ფურნეში გაარბენინებდა და იქიდგან პური მოჰქონდა. სადგურის უფროსმა ამოიღო ფული და მისცა ძაღლს. გონიერი პირუტყვი ფურნისაკენ გაეშურა და პატრონი ტყიდგან გამოიყვანა.

* * *

არა¨ერთხელ ყოფილა ჟურნალ გაზეთებში დაბეჭდილი, რომ მუსიკას დიდი ზედ გავლენა აქვს მარტო ადამიანზე კი არა, არამედ პირუტყვებზედაც. აი კიდევ ერთი საყურადღებო მაგალითიც. ერთი კაცი სწერს ჟურნალში. ,,П. И. Л.“ ერთხელ ზაფხულში მუსიკა დაუკარი და შემთხვევით შევნიშნე, რომ ობობა გამოსულიყო და თავისს მიერ გაბმული ქსელში დასეირნობდა. გამიკვირდა, რატომ ხმაურობისა არ შეეშინდა და არ დაიმალა. მუსიკა გავაჩუმე და ობობაც დაიმალა. კიდევ დაუკარი მუსიკა და ობობა ისევ გამოვიდა. კიდევ შევსწყვიტე და ობობა ისევ დაიმალა, ხუთიოდ წუთს ჩუმად ვიყავი და მერე საცეკვაო დავუკარი (კომარინსკი). ობობა იმწამსვე გამოძვრა და, ღმერთო ჩემო, როგორ დარბოდა თავის ქსელში, კაცს ეგონებოდა, გატაცებით ცეკვავსო. რაც გნებავთ ბძანეთ, და მე კი დავრწმუნდი, რომ მუსიკას ობობაზედაც კი ჰქონია ზედ-გავლენა.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 იანვარი

**ლონდონი.** ,,Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: ,,ბრიტანიის ელჩმა გამოუცხადა ტცუნგლიიამენს, რომ ინგლისი მზად არის შეიწეობა აღმოუჩინოს ჩინეთს იაპონიის სამხედრო გარდასახადის გასტუმრებაში და ასესხოს 12 მილიონი 50 წლით ისე-კი, რომ 4⁰/₀-ი იხადოს თავნსა და სარგებელში, შემდეგის პირობებით: უნდა დაარსებულ იქმნას სამი სავაჭრო ნავთ-სადგური: ტალიენვანი და სანჩინი იუნანის პროვინციაში და ნანკინი; იან-ცე-კიანგის ვაკე ადგილის არც ერთი ნაწილი არ უნდა დაეთმოს სხვა რომელსამე სახელმწიფოს; მხოლოდ ინგლისს უნდა მიეცეს უფლება იუნანზედ ბირმანის რკინის გზის გაყვანისა. თუ რომ ჩინეთმა არ აღასრულა ყოველივე პირობა ვალის შესახებ, უნდა დაუმორჩილოს ბრიტანიის სადამოჟნო კანტროლს შემოსავლის ზოგიერთი მუხლი. მოლაპარაკება ამ პირობებით კიდევ იქმნება.

**ბერლინი.** ,,ჩრდილოეთ-გერმანიის გაზეთში“ დაბეჭდილია: ,,ინგლისის ჟურნალ გაზეთებში ამას წინად დაბეჭდილი იყო ცნობა, რომ იმპერატორი დაჰპირდა ინგლისის სამეფო საგვარეულოს წევრთ, მომავალს ზაფხულს კოუზში მოვალო. ეს ამბავი სიმართლეს არის მოკლებულიო“.

**პარიჟი.** ,,ჰავასის სააგენტო“ სწერს: ,,ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ გენერალ ბილიოს გამოაქვეყნე ის განცხადებანი, რომელიც დრეიფუსმა თანამდებობიდგან გადაყენების დღეს კაპიტანს ლებრენ-რენოს გადასცაო. ამ განცხადებების გამოქვეყნებით მთავრობა დაამტკიცებს, რომ საქმე კარგათ არ გადასწყდა. ამასთან მთავრობა იმ აზრისაა, რომ იმას ამ გამოქვეყნე¨ის უფლება არა აქვს იმ მიზეზით, რა მიზეზითაც სამხედრო საბჭომ დაადგინა, რომ საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნას განხილულიო“.

პალატა. კავენიაკმა გამოაცხადა, უნდა შევეკითხოთ მთავრობას „ჰავასის სააგენტოს“ მიერ დაბეჭდილ ამბის შესახებაო. მელინმა სთქვა, ეგ შემდეგისთვის იყოს, ეხლა საქმეებს დავუბრუნდეთ და ამით ქვეყანა დავაწყნაროთო. უნდა შევიწყნაროთ ხარჯთ-აღრიცხვა და განზედ გადავდოთ დრეიფუსის საქმე. დასასრულ მელინმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ აქ გარეულია ჯარის პატიოსნება და სასამართლოს პატივისცემაო, და მოითხოვა რომ პალ ატამ მთავრობას ნდობა გამოუცხადოსო (ტაშის ცემა). კავენიაკმა სთქვა, შეუძლებელია, სამხედრო მინისტრმა ხმა არ ამოიღოს მაშინ, როდესაც ჯარი ცუდად მოიხსენიესო. ლავერტოჟონი იმ აზრისაა, რომ ამ საქმის განხილვა ერთის თვით გადავდოთო—(დიდი აღელვებაა). წინადადება ერთის თვით გადადების შესახებ უარ-ყოფილ იქმნა 247 ხმით 219 წინააღმდეგ. დიუპერიე—ლარსანმა სთქვა, რომ ეს საგანი ყველაზედ ბოლოს განვიხილოთო. კავენიაკი იმ აზრისაა,—გადადება არ შეიძლებაო, ¢ უსაყვედურა მელინს, რატომ ა¨ გვეტყვი, რა აზრისა ხარო. მელინმა შეაწყვეტინა სიტყვა: ,,არ მინდა თქვენ გითხრათ ჩემი აზრიო“. კავენიაკმა განიმეორა, უეჭველად ეხლავე განვიხილოთო. მელინი მიემხრო დიუპერიე-ლარსანის აზრს და ამტკიცებდა, რომ ვერაფერი პოლიტიკაა ხელი შევუწყოთ აღელვებას, რომელიც ისეც კარგა ხანია არ ისპობაო. მელინმა დაუმატა: ,,თუ პალატამ დაადგინა, რომ ეს საგანი დაუყოვ¨ებლივ უნდა განხილულ იქმნასო, კაბინეტი თავისს თანამდებობას თავს დაანებებს“- (დიდი აღელვებაა). დიუპერიე-ლარსანის წინადადება შეუწყნარებელ იქმნა 310 ხმით 253 ხმის წინააღმდეგ.

6 იანვარი

(მიღებულია ტფილისში 7 იანვარს, საღამოს 5 საათსა და 45 წუთზედ).

**პარიჟი.** ნაშუადღევს რამდენიმე მანიფესტაცია მოხდა, მათ შორის უფრო შესამჩნევი მონმარტრის ბულვარსა და დრუოს ქუჩაზე. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდნენ ათასი სტუდენტი და მრავალი ცნობის მოყვარე კაცი. ხალხი ჰყვიროდა: ,,სიკვდილი ურიებს! მიაფურთხეთ ზოლას“!. პოლიციამ ბრბო დაშალა. 7 კაცი დააპატიმრეს. სასტიკი განკარგულებაა გაცემული, რადგან საღამოთი კიდე მანიფესტაციაა დანიშნული ტივოლის ვაგზალთან.

**პარიჟი** ტივოლის ვაგზალზე დიდძალი ხალხი მოგროვდა. საღამოს 9 საათზე დარბაზში იყო 1,800 კაცი და ამდენივე იდგა გარედ, სადაც ხალხს აღელვებდნენ ეგრედ წოდებული camelot ები. მიღებულია საგანგებო და სასტიკი საშუალებანი. მახლობელი ქუჩები გაჭ დილია პოლიციელებითა და რესპუბლიკის ქვეითა და ცხენოსან ჯარით. ხალხის ბრბოს თან და თან ემატება, ემატება აგრედ ე პოლიციელთა რიცხვს. ტივოლის დარბაზი რომ ხალხით გაივსო, ბრბომ შუა კარი შეამტვრია და დარბაზში შევიდა. კრება მეტად აღელვებული იყო; რადგანაც აქ ანარქისტებიც არიან, ამიტომ ყველა მხრიდგან ისმოდა ერთმანერთის საწინააღმდეგო ხმები: „შორს ჩვენგან ზოლა!“ „გაუმარჯოს კომმუნას!“ გაუმარჯოს ჯარს“! „გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას“! კრებამ საპატიო წევრებად აირჩია როშფორი და დრუმონი. უეცრად ხმა გაისმა ,,გაუმარჯოს ურიებს“! ამ ხმას დიდი ჩხუბი და ბრძოლა მოჰყვა. ბიუროს ერთი წევრი დასჭრეს. გერრი დანიშნულ იქმნა პრეზიდენტად. ანარქისტთა და ანტისტემიტთა შორის დიდი ბრძოლა მოხდა; რამდენიმე კაცი დაჭრილია. გაისმა ყვირილი. ზოგი ჰყვიროდა: ,,სიკვდილი ურიებს“! ,,მიაფურთხეთ როშფორს“! ბულანჟეს მომხრედ ნამყოფმა ტიებომ დრეიფუსის წინააღმდეგ მომხრეთა წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა. ანარქისტთა და ანტისემიტთა შორის დიდი ბრძოლა ასტყდა. ანტისემიტთა უმრავლესობა წავიდა დარბაზიდგან. დიდძალმა ანტისემიტებმა გაიარეს შატოლოსა და ბასტილიაში. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. 11 საათზედ ტივოლის ვოგზალზედ ჩხუბი ჯერ არ შეწყვეტილიყო. რამდენიმე კაცი დაჭრილია. ბოლოს დარბაზი დაისაკუთრეს 1000 ანარქისტმა, ყვირილი დაიწყეს და დრეიფუსს თანაგრძნობას უცხადებდნენ. ანტისემიტნი გაემართნენ სამხედრო კლუბისაკენ. 11 საათსა და 30 წუთზე მიდამოებში ხალხი დამშვიდდა. დარბაზი დაცალიერდა და მანიფესტანტები გაემართნენ სამხედრო კლუბისაკენ, მაგრამ იტალიის ბულვარზე პოლიციელებმა შეაყენეს. აქედგან ბრბო გაემართა „Libre Parol“-ისაკენ და ჰყვიროდნენ: „სიკვდილი ურიებს“! პოლიციამ ბრბო დაშალა და 5 კაცი დააპატიმრა. ერთი დასი, რომელსაც ბულანჟეს მომხრედ ყოფილი დეპუტატი მილვუა მეთაურობდა, მივიდა კლუბთან; პოლიციამ ეს დასი შეაჩერა და რამდენიმე კაცი დააპატიმრა, მაგრამ მილვუამ ნება რთვა აიღო, რომ ეს დასი გაეშვათ სამხედრო კლუბის წინ. დასმა გაიარა ყვირილით: „გაუმ რჯოს ჯარს!“ მილვუას სიტყვით დასი დაიშალა. „ხვალამდეო“,—სთქვა დასასრულ მილვუამ. ამავე დროს სამასმა სტუდენტმა გაიარა სენმარტენის უბანში, ყვირილით: „მიიფურთხეთ ზოლას“! ჩხუბისა და ბრძოლის შემდეგ პოლიციის აგენტებმა ხალხი დაჰშალეს.

**პარიჟი.** გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინდელ ჩხუბის დროს დაშავდა 20 კაცი, ამათში 6 მძიმედ არის დაშავებული.

**პარიჟი.** დეპეშებით იუწყებიან, რომ ურიების წინააღმდეგ მანიფესტაციები მოხდა პროვინციის სხვა და სხვა ქალაქებში, სახელდობრ: კლერმონ-ფერანსა, გრენობლსა და ბორდოში; აქ ხალხი ჰყვიროდა ურიების დუქნების წინ: „მიაფურთხეთ ზოლასა და ურიებს“! მანიფესტანტებმა დასწვეს მოედანზედ ის გაზეთები, რომლებსაც დრეიფუსის მხარე ეჭირათ. ნანტსა და მარსელში ქვებით ჩაამტვრიეს ებრაელების რამდენიმე მაღაზიის ფანჯრები.

**მარსელი.** 1000-მდე მანიფესტანტი ებრაელთა მაღაზიების წინ შეიკრიბა და ყვირილი დაიწყო „შორს ჩვენგან ურიები! სიკვდილი ურიებს!“ აფიცერთა კლუბის ფანჯრებთან გაისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს ჯარს!“ ქუჩაზედ სიარ¨ლი შეუძლებელი გახდა. 30,000 კაცმა აფიცერთა კლუბის ფანჯრების წინ მანიფესტაცია მოახდინ¨ს; ხალხი მაღმაღ იმეორებდა: „გაუმარჯოს ჯარს!“ და თან ყვავილებს აწყობდა. ხალხის მისალმების ნიშნად დროშა ჩამოუშვეს. შემდეგ სტუდენტებმა და ახალგაზდა კაცებმა ქუჩები დაიარეს და თან ჰყვიროდნენ: „შორს ჩვენგან ურიები! მიაფურთხეთ ზოლას!“ მათ გაზეთების რედაქ. წინ თანაგრძნობის ნიშნად მანისვესტაცია მოახდინეს, შემდეგ დაიშალნენ. ცალკე ბრბომ ებრაელის ერთს მაღაზიაში ფანჯრები ჩაამტვრია.

**ლიონი.** სტუდენტებმა მანიფესტაცია მოახდ¨ნეს გაზ. „Peuple“-ს რედაქ. წინ, რომელსაც ზოლას მხარი ეჭირა და რედაქციის ფანჯრები ჩაამტვრიეს. რედაქციის წევრებმაც სამაგიერო გადაუხადეს და ჯოხებითა და ქვებით რამდენიმე სტუდენტი დააშავეს.

**ნანსი.** 300 სტუდენტმა საღამოზედ ქუჩები შემოიარეს ყვირილით: „მიაფურთხეთ ზოლას, ურიებს, დრეიფუსს“! „სიკვდილი ურიებს“ მათ მანიფესტაცია მოახდინეს სინაგოგის წინ, შემდეგ დაიშალნენ.

**პრაგა.** ლანდტაი. მეფის მოადგილემ მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ადგილობრივი ენები თანასწორნი არიანო უფლებით.

7 იანვარი

**პეტერბურგი.** 6 იანვარს, საზამთრო სასახლის დარბაზში, მათის უდიდებულესობის თანა დასწრებით, მოხდა საე[illegible], რომელსაც დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე უფროსობდა, საღამოზედ სასახლეში ჯარი შეიკრიბა. დილის 11 საათზედ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სასახლის ოთახებიდგან სასახლეს ეკკლესიაში, სადაც შეიკრიბნენ მაღალ-ყოვლად უსამღვდელო პალადი, უწმ. სინოდის წევრები და სხვა სამღვდელოება. მათის უდიდებულესობას მოსვლისათანავე, მიტროპოლიტმა პალადიმ, სხვა სამღვდელოთა თანამწირველობით, გადაიხადა წირვა. გიორგის და შემდეგ ნიკოლოზის დ რბაზებში შეიკრიბნენ უცხო სახელმწიფოთა სადიპლომატო კორპუსის ყველა წარმომადგენელნი. პირველ საათზედ დიდის სობოროდგან დაიწყო ლიტანია. მიტროპოლიტ პალადის თავით ჯვარი მიჰქონდა. სამღვდელოების შემდეგ მიდიოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი და საიმპერატორო გვარეულობის სხვა წევრნი, აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებული მოხელენი. სამღვდელოების აქეთ-იქით სასახლის გრენადერები და პაჟე¨ი მიდიოდნენ, ხელმწიფე, დიდნი მთავარნი და წარჩინებულნი მოხელენი შევიდნენ ნევაზედ გამართულ იორდანის ნიშში. სამეფო სა გვარეულოს წევრებს შემდეგ კამენტანტმა ნიშის წინ მოედანზედ დააყენა ბაირახტრები საეკკლესიო ბაირაღებით. ამის შემდეგ მიტრ. პალადიმ ჯვარი წყალში ჩაასვენა. ბაირაღების აიზმით კურთხევის შემდეგ ლიტანია უკანვე სობოროში დაბრუნდა. ხელმწიფე იმპერატორი ეკკლესიიდგან საზამთრო დარბაზის ოთახებში დაბრუნდა.

ხელმწიფე იმპერატორი თანაუგრძნობს რა იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს¨ასულის უსინათლოთ სამზრუნველოს მოქმედებას, ბრძანა მათი უდიდებულესობა ჩასთვალონ სამზრუნველოს პირველ ნამდვილ წევრად.

**ნოვოჩერკასკი.** ტაგანროგის ოლქში რუს-დონეცის საზოგადოების მაღაროში გაზი აფეთქდა, რომლის დროს 40 მუშა დაიღუპა.

**პარიჟი.** ბილიომ სჯულის საქმეთა მინისტრთან „Aurore“-ს რედაქტორსა და ზოლაზედ საჩივარი შეიტანა. მინისტრმა საჩივარი საგენერალო პროკურორს გადასცა. ამბობენ, რომ ზოლა და „Aurore“-ს რედაქტორი ნაფიც მსაჯულთა სამართალში იქმნებიან მიცემულიო.

---

# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა,**

ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15§-ის თანახმად, ამითი აცხადებს, რომ 16 თებერვალს ამა 1898 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლებში საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი მამული ეკატერინე დავითის ასულის სმირნოვისა, სახელდობრ სახნავი, საბალახე, სამოსახლო და საძოვარი ადგილები, ბაღი და ტყე, მიწა ზომით 257 დეს. 1981 ოთხკუთხ. საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება, რომელიც მდებარეობს ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის აგარაკებ წედისსა და ხიდისთავში, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადის შემოუტანლობისათვის, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ ძალით. მამულის თავნი ვალია 7,658 მან. 19 კაპ., სავადო შემოსატანი 1,528 მ. 80 კაპ., სულ 9,186 მან. 99 კაპ.

ვაჭრობა ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება ყოველ-გვარი გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი სესხისა შეიძლება შემოტანილ იქმნას ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი. თუ 16 თებერვალს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბ ნკის წესდების მე-21§-ის საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება ამავე წლის 2 მარტს. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, ზედ შეკეცილ სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისა ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

(3 – 6.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Января 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.